ბ-ნ ბ. ხარებავას

[redacted]

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმის წარმოება

ვ. აბაშიძე
10.06.2015წ.

შპს "რადიო არტი"

ლიქიშვილის ქ.№1, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 97 97 09 07

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ, ვახტანგ აბაშიძეს

შ.პ.ს. „რადიო არტი"-ს დირექტორის

ქეთევან ძებისაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით მოახდინოთ შ.პ.ს. „რადიო არტი"-ს (ს/კ:203845054) მფლობელობაში არსებული კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზია #B52 -ით გაცემული სიხშირის FM97.5 (სახელწოდებით Jazz FM) მოდიფიცირება და შესაბამისად აღნიშნულ სიხშირეზე არსებული საერთო მაუწყებლობის ლიცენზია შეცვალოთ გასართობი მაუწყებლობის ლიცენზიით.

აქვე განვმარტავთ, რომ როგორც მოგეხსენებათ, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს კანონმდებლობით დაკისრებული აქვს ვალდებულება განათავსოს ეთერში საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები, რაც ჩვენი რადიოარხის სტრატეგიას, შინაარსა თუ კონცეფციას სრულებით არ შეესაბამება, ვინაიდან მისი სახელიდან გამომდინარე - Jazz FM, აღნიშნულ არხზე თავსდება ჯაზთან და არა მხოლოდ მასთან, ასევე ზოგადად მუსიკასთან, ხელოვნებასთან დაკავშირებული პროგრამები. აღნიშნულ არხს მუსიკალური-გასართობი დანიშნულება აქვს და შესაბამისად საზ. პოლიტიკური თოქ შოუები თუ საინფორმაციო გამოშვებები ასეთი ფორმატის არხისთვის შეუსაბამო და ზედმეტია. აღნიშნული მოსაზრება გაგვიჩნდა არამხოლოდ ჩვენ - ადმინისტრაციას, არამედ ჩვენს მსმენელსაც, ვნაიდან ჩატარებული არაერთი სატელეფონო, ზეპირი თუ სხვადასხვა ფორმატის გამოკითხვებით გამოაშკარავდა, რომ მსმენელის აზრითაც სრულიად შეუსაბამო და არამიმზიდველია საინფორმაციო გამოშვებისა თუ პოლიტიკური გადაცემების სმენა იმ პროგრამებთან ერთად რომლებითაც ძირითადად დატვირთულია ჩვენი რადიოარხი. ჩვენი მსმენელი შესაძლებელია ასეთ ჭრებში ფაქტიურად გამოგვეთიშოს, რაც თავის მხრივ ჩვენს რეიტინგზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედებს.

თბილისი, 10 ივნისი 2015 წელი

პატივისცემით,

ქეთევან ძებისაშვილი

დირექტორი

GEORGIA. TBILISI. "RADIO ART" LTD
საქართველო
შპს
"რადიო არტი"
თბილისი
203845054

ეროვნული ბიბლიოთეკა
07/3794-15
10 06 15
1 ეროვნული